



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გულუა გია აბიბოს ძე



გულუა გია აბიბოს ძე (20. II. 1956, ზუგდიდი, – 20. IV. 1994, თბილისი), პოლიციის გენერალ-მაიორი (1992). დაამთავრა ხარკოვის სახანძრო ტექ. სასწავლებელი (1976), სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) აკადემია (მოსკოვი, 1986). 1992 იანვრიდან იყო შსს თბილ. სამმართველოს უფროსი, ივნ-იდან – საქართვე. რესპ. შსს კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე, 4 დეკ-იდან – საქართვე. რესპ. შსს მინისტრის მოადგილე, სატრანსპ. პოლიციის მთ. სამმართველოს უფროსი. ტრაგიკულად დაიღუპა ტერაქტის შედეგად.

გ. გულუა

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1994).

ლ. დოლიძე
